

**სვანური საკუთარი სახელები
თურქული ანთროპონიმებით**
**ANTHROPONYMS
OF TURKISH ORIGIN IN SVAN**

ქეთევან მარგიანი

სოხუმის სახელმწიფო ნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Ketevan Margiani

Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The Svan anthroponymy is characterized by a variety of personal names with -khan, -kan, -bi, etc. formants. Borrowing of anthroponyms is a natural phenomenon for every nation and language. It is well known from the literature on onomastics that the use of the titles such as Mirza, Khan, Beg, etc. as personal names or their components are regarded as one of the features of Near Eastern or Middle Eastern anthroponymy (M. Jikia).

Compared to Georgian and Megrelian, the great number of Anthroponyms of Turkish Origin in Svan, and generally, the personal names marked by -han, -qan, -bi, etc. lexemes was conditioned by direct contact with the neighboring North Caucasian languages such as Adyghe-Kabardian, Karachay-Balkar, and social-economic, cultural and other kinds of contacts.

The analyzed Material in the proposed article have been selected from the Svan prose texts. Svanetian written monuments, the chrestomathy of Svan, etc.

Chronologically, as it can be claimed based of observations made on the written monuments, anthroponyms of Turkish origin with -han, -qan, -bi formants do not occur in commemorations, Svan chronicles of the souls the deceased of earlier period, in written monuments dating back to earlier than XVI c.

It was found that specifically frequent occurrence of these types of personal names is typical to the genealogies of Dadeshkeliani nobles of Balsqvemo Svaneti. The modern Svanian onomasticon reflects the tendency of dramatic decrease in (even disappearance of) the number of anthroponyms of Turkish origin, compared to the data of the past century.

საკვანძო სიტყვები: სვანური კილოები, სიტყვანარმოება, ონომასტიკა, ანთროპონიმები, თურქული ანთროპონიმები.

Keywords: Svan Dialects, Word Formation, Onomastics, Anthroponyms, Turkish Anthroponyms.

ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სვანური ანთროპონიმია ხასიათდება **-ხან, -ყან, -ბი, -მირზა, -მურზა, -მგრზა...** ფორმანტიანი საკუთარი სახელების სიმრავლით; წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური პროზაული ტექსტებიდან, X-XVIII საუკუნების სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ადრეული პერიოდის საეკლესიო დავთრებიდან, სამეცნიერო ექსპედიციებისა და საველე მუშაობის დროს ასაკოვან ინფორმატორთაგან საგანგებოდ ჩანერილი მასალებიდან... ამ ტიპის ანთროპონიმებია: **ადიმხან, მელეხან სიდიხან, აშტერხან, მისირხან / მისგრხან, სირმხან, დარისხან, ორსახან / ჭორსახან, სოფილხან, რა დიმხან, კესჷმხან, ჯამირხან/ჯამგრხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემლეხან, სერეხან, ყაზმარხან, კესგმხან, ჯარგმხან/ჯამგრხან, დაურხან, დიგორხან, მაიფხან, სიდახან, ინგლისხან, ერქახან, დევლეფხან, ქაბახან, თათარხან, ტუბუმხან, მგზა, მგზალად, მგრზაბეგ, შეხზა, აყზა, შემზა, ყამგრზა, ნამგრზა, ბეხზა, ემუზა, ბეხმგრზა, ბეფმგრზა, შემზა, ათმგრზა, ბიმურზა, მამურზა... ვსლავმბი/ვსლავნბი, ბექერბი, ბათერბი, ქელესბი/ქელერბი, ქერთბი, ყარგმბი, ყვლეჩბი/ყვლეჩბე, შერგმბე, მგრავთბი, მუსა ბი, თანბი, მგჷარბი, სარბი, თაუბი, ქვჩერბი, კადერბი, ყარავბი, მარავთბი, ქაჷშუბი... მურზაყან, თათარყან, ბაბიყან, თელყან, გჷაშაყან, თაყყან, ყანგვზ, ყანგი, ყანსაჷ...**

ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული სიხშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქელიანთა გენეალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპონიმიაში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XV ს.) დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. მთავარ დადემქელიანთა შესახებ ხალხში სხვადასხვა ლეგენდა-გადმოცემა, ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდი, დოკუმენტებში კი რამდენიმე გენეალოგია არსებობს, შედგენილი სრულიად სხვადასხვა პირთა მიერ. მათ შორის უმუსტესად მიიჩნევენ პეტრე უსლარისეულ გენეალოგიას. ბალსქვემო სვანეთის მებატონე დადემქელიანები XV საუკუნის მიწურულამდე არ ჩანან ისტორიულ არენაზე. მანამდე სვანეთის მთავრები ყოფილან რიჩეგვიანები / რუჩეგვიანები, რომელთა ამონცვეტა ახალმოსულმა დადემქელიანებმა მოახერხეს კარისკაცების – ციქვილდ ცალანისა და აზნაგებ გერლიანის მოსყიდვით (ე. გაბლიანი). ლეგენდის თანახმად, დადემქელიანები ჩრდილო კავკასიიდან მოსულეზად ითვლებიან. გაურკვეველია და დაუდგენელი გვარის ეტიმოლოგიაც. გადმოცემით, ეცერში პირველად მოსული მომხიბვლელი სილამაზისა და აღნაგობის ვაჟკაცის, დადემქელიანთა უშუალო წინაპრის პირველი ნათქვამიდან „**დაშდან გელან**“, რაც მის ენაზე ნიშნავდა „მოვედი ამ მთებიდან“, ეცერელებმა აწარმოეს მისი გვარი **დადემქელიანი** ფორმით (გაბლიანი 1925: 60-61). უფრო დამატერებელია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დადემქელიანი ეპონიმური გვარსახელი

უნდა იყოს – ნანარმოები კომპოზიტიური ანთროპონიმისგან – **დადიშგელა** (გასვიანი 1991: 144). მართალია, სულთა მათიანეებსა და XV საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში გვარი დადიშქელიანი არ დასტურდება, მაგრამ მამაკაცის სახელად ხშირად გვხვდება დადიშგელა. მეშვიდე მათიანეს მიხედვით, ეცერის მკვიდრნი სხვა მრავალ შემომწირველთა შორის არიან დადიშგელა წარეკელიანი და დადიშგელა აშტიანი. საინტერესოა ასევე მსგავსება გვარსახელებისა – **დადიანი-დადიშქელიანი**; ორივეში უნდა გამოიყოფოდეს ძირეული **დადი** ელემენტი; ისტორიულ არენაზე სწორედ **დადიშქელიანთა გამოჩენის პარალელურად სვანეთის წერილობით ძეგლებში ჩნდება -ხან, -ყან, -ბი, -მირზა / -მგრზა ფორმანტიანი საკუთარი სახელები: თათარყან, ყანგვზ, თემირყან, მგრზაბეგ, ყვლგჩბი, თაუბი, შინსსანყ, მჷათუყ, მალყარუყ...** უცხოენოვან ანთროპოფორმანტებთან დაკავშირებით ონომასტიკური თვალსაზრისით, ზოგადად საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ გვხვდება საკუთარი სახელები თითქოს ძირეული მორფემის გარეშე ნანარმოები ნასესხებ ანთროპოფორმანტთა სხვადასხვა კომბინაციით: **ბი-მურზა**, კნინ. ფორმა: **ბი-მგრზ-ოლ, მურზა-ყან, მგრზა-ბეგ, მირზა-ყუ...**

-**ყან**: პოლისემანტიური თურქული სიტყვაა: 1. სისხლი, 2. მეფე. ფართო გავრცელება ჰქონდა ადიღურ ენებში მნიშვნელობით „აღმზრდელი“ და სახელებსა და გვარებს ანარმოებს ამოსავალი მნიშვნელობით „ვილაჯის აღმზრდელი“. მაგ., ურუსყან „რუსის აღმზრდელი“ (კოკოვი 1973: 144). -**ყან** სუფიქსიანი სახელები არ გვხვდება ადრეული პერიოდის სვანეთის წერილობით ძეგლებში, სულთა მათიანეებში. -**ბი** და -**ხან** ფორმანტიან სახელებთან შედარებით ისინი ნაკლებადაა გავრცელებული დღევანდელ სვანურშიც. სამაგიეროდ, ხშირია დადიშქელიანთა საგვარეულოს მათიანეებში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნის მოსახსენებლებში. „უფალო ღმერთო, აღაშენე და აკურთხე სახლი და საყოფელი... დიდებულის ბატონის გელახსანის, ახლავ დადიშქელიანისა, **მირზა-ყანს**, გელახსანს, კაკუს, ხოსის, **თათარყანს**, **თემირყანს...** (ძეგლები 1988: 283). „კრება შეგიყარეს, ახლავ რუჩეგიანისა ღირსიანად უყავ, ამენ, ღმერთო! კერმეგ რუჩეგიანისა, ახლავს, ბათარს, **ურუს-ყან** რუჩეგიანისა, მის მეთოფეს დადაუს, თათარსავ რუჩეგიანისა... (იქვე: 297).

-**ხან**: თურქულენოვან და მონღოლურ ხალხებში ფეოდალ მმართველთა ტიტულის აღმნიშვნელი -**ხან** ელემენტი თავდაპირველად ფართო გავრცელებას პოულობს მამაკაცთა, ხოლო შემდგომ დესემანტიზაციით ქალთა სახელებშიც: სალიმხან, ზულიხან, შამხან (კოკოვი 1973: 48). ცნობილი თვალსაზრისია, რომ ანთროპონიმთა სესხება, შეთვისება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ხალხისა და ნებისმიერი ენისათვის. გამონაკლისს ამხრივ არც ქართველური ენები წარმოადგენენ, სადაც საუკუნეთა მანძილზე არაერთი თურქული ანთროპონიმია დამკვიდრებული. მათი შემოსვლის **წყაროდ მიჩნეულია ანატოლიური თურქული, კავკასიის თურქული ენები, ყარაჩაულ-ბალყარული და**

ყუმბიხური. იტორიულად ცნობილია აგრეთვე ქართველთა ურთიერთობა ხაზარებთან, პაჭანიკებთან, ყიფჩალებთან (ჭიქია 1973: 212). სვანურ ანთროპონიმიში მთელი ფენა, საკმაოდ დიდი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს **-ხან, -ყან, -ბი** ფორმანტიანი თურქული წარმომავლობის საკუთარი სახელებისა, რაც საუკუნეთა მანძილზე სვანთა და ყარაჩა-ბალყარელთა ცხოველი კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგია: **-ხან-**ით ნაწარმოები სახელები ფართოდაა გავრცელებული დღევანდელ სვანურში, XIX საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებსა და განსაკუთრებით დადემქელიანთა გენიალოგიურ ტაბულებში. ისტორიიდან ცნობილია საბატონო სვანეთის მთავრის – ციოყ დადემქელიანის დედა – დიგორხანი, ფაქტიური მმართველი თავისი შვილის სამთავროსი. 1832 წლის ზამთარში დიგორხანი გადავიდა კავკასიის ქედზე ყაბარდოში და ნალჩიკში მყოფ გენერალ გორიხვოსტოვს განუცხადა შვილის – ციოყის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი. იქვე მძევლად ჩააბარა ციოყის შვილი ბექურბი, თვითონ როზრენთან გაემგზავრა ტფილისში და მოაწერა ხელი რუსეთთან შეერთებაზე. 1843 წელს ეცერის მთავარი თათარხანი დაეცა დადემქელიანთა სასახლეს. დიგორხანი გადმოხტა ციხიდან და ტრაგიკულად განუტევა სული; **„სვანეთის დედოფალი – მდინარეების ბახსანის, ყუბანის, დალისა და ენგურის ზემო დინებათა მბრძანებელი“ – ასეთი იყო ტიტული დიგორხან დადემქელიანისა** (გაბლიანი 1925: 72); ცნობები არსებობს ასევე სხვა მანდილოსნების შესახებაც. სალდათხანი – თენგიზ დადემქელიანის და – 1860 წელს ბაქსანში ცოლად გაჰყოლია თავად ადინგერ ურუსბეის და ქრისტეს რჯულზე მოუნათლავს ქმარი და ოთხი შვილი. ამ დროისთვის ეს იყო ერთადერთი ქრისტიანი ოჯახი მთელ ბაქსანში (ნიჟარაძე 1962: 167); ამ ტიპის სახელები გვხვდება წერილობით ძეგლებში: „ბეჩუეს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა ელჩი ჩადაისა, ასიანისა, ბურდუ-ხან-ისა, კვირიკე ბაბიანისა, მეულღესა მისა ბურთუ-ხან-ისა“ (ინგოროყვა 1941: 155). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ორიოდე გამონაკლისის გარდა თანამედროვე სვანურში **-ხან** დართული სახელები, როგორც ეს მასალების ჩანერა-შეკრებისას გამოიკვეთა, ძირითადად ჰქვიათ ქალებს, მანდილოსნებს: **სიდახან გოშთელიანი, დევლეთხან კახბერიძე, დაურხან გუჯეჯიანი... მისირხან / მისგრხან გულბანი, ინგლისხან გოშთელიანი, სირმახან, დარისხან, ორსახან / ჭორსახა, სოფილხან, რადიმხან, ჯამირხან / ჯამგრხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემლეხან, სერეხან, ყაზმარხან, კესემხან, ჯარემხან, ჯამგრხან, დიგორხან, მამფხან, სიდახან, ერქახან იოსელიანი, ქაბახან, თათარხან, აღიმხან, მელეხან, აშტერხან, ძუბუმხან...**

-მირზა/-მგრზა/-მურზა მამაკაცთა სახელების ფართოდ გავრცელებული მანარმოებელია: მომდინარეობს სპარსული **მირზა**-დან, რომელიც აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში სახელს ერთვოდა ხან წინ, ხანაც ბოლოში და გამოხატავდა: 1. ტიტულს არისტოკრატიულობისა,

2. განათლებულობას, 3. მდივან-მნივნობრობას (კოკოვი 1973: 58). ონომასტიკურ ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი ახსნაც: მირზა მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვებიდან: **ამირზადე** „ამირის შვილი“. ამირი შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს... ამირობით დაინყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც ეს ტიტული არ გაცვალა უფრო საპატიო წოდებაზე, ხან-ზე (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგის-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა). **მირზა / მგრზა**-ს თავდაპირველი მნიშვნელობა არის „უფლისწული, ბატონიშვილი“. ამ მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს, ხოლო წინ დაისმის მდივან-მნივნობრობაზე მიმართვისას (ჭუმბურიძე 1992: 131). მაგალითები ქრესტომათიიდან: უფალო ღმერთო, აღაშენე და აკურთხე სახლი ახლავს დადიშქელიანისა, **მირზაყანს, თემირყანს, თათარყანს...** (ძეგლები 1988: 283). „ამხვ ისევე ხოშამ **მგრზა** ხაშხენა. **მგრზა** გუნ ლგვამ ი ხოჩა მეთხვარ ლგმარ“ (ქრესტომათია 1978: 225).

-**ბი**: როგორც არაერთგზის აღინიშნა, მახლობელი აღმოსავლეთის ანთროპონიმიკის ერთ-ერთი თავისებურებაა ტიტულთა და წოდებათა საკუთარ სახელად ან მის კომპონენტად გამოყენება: სულთანი, ხანი, ბეგი, მირზა... შდრ. ქართ. გვარი ბეგაშვილი. ბეგი უმაღლესი სამხედრო წრის წარმომადგენელი იყო. ოსმალთა იმპერიაში ბეგი დაერთვოდა დიპლომატიების, თარჯიმნებისა და დიდი მოხელეების სახელებს. დროთა განმავლობაში იგი მიმართვის ფორმის კომპონენტად იქცა. ყარაჩაულსა და ბალყარულში ბეგი (ბეჯ) წარმოითქმის ბი-დ (ბიჯ) (ჭიქია 1973: 213); დ. კოკოვს აღნიშნული აქვს, რომ -**ბი** ელემენტი მოჩვენებითად, არასწორადაა ასოცირებული ომონიმურ ყაბარდოულ სიტყვასთან **ბი**, რაც ნიშნავს „მტერს“. მაგალითად მეორე მსოფლიო ომის დროს დაბადებულ ბიჭს უწოდეს **გერმანი** – „**გერმანიის მტერი**“ (კოკოვი 1977: 57); -**ბი** ელემენტს ყაბარდოულის ლექსიკაში სხვა სახის კორელატები, სემანტიკური ნიუანსები მოეპოვება; ყაბარდ. **ბეჟ** / ადილ. **ბაჟ** „მდიდარი“. **ბეი** ერთ-ერთი ცნობილი ყაბარდოული გვარიცაა. საუკუნეების მანძილზე ცხოველი კონტაქტების შედეგად ყარაჩაულ-ბალყარულიდან შეთვისებული -**ბი** ფორმანტიანი სახელები ფართოდაა გავრცელებული სვანურ ონომასტიკონში: **ასლამბი / ასლანბი, ბეჭერბი, ბათერბი, ქელესბი / ქელერბი, ქერთბი, ყარამბი, ყვლერბი / ყვლერბე, შერგმბე, მგრანთბი, მუსამბი, თანბი, მგჰარბი, სარბი, თაუბი, ქერგრბი, კადერბი, ყარამბი, მარამბი, ქაჰუშუბი... ჯამაბეგ, მგრზაბეგ...** ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სვანეთის დიდი მემეტიანის ბესარიონ ნიჟარაძის ცნობა, რომ ლეგენდა-გადმოცემებში ცოცხლობს სახელი ძლიერებით, გონიერებით განთქმული ქავშუბისა, მულახის საზოგადოების მახვშისა, რომელიც პურობისას ვერაგულად მოუკლავთ უშგულში (ნიჟარაძე 1962: 82). -**ბი** ელემენტიანი სახელები გვხვდება XIX საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებში, რუსუდან ხარაძის მიერ შედგენილ გენიალოგიებში, მეტ-ნაკლებად დღევანდელ

სვანურ ანთროპონიმიაშიც, X-XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლებისათვის კი ამ ტიპის სახელები უცნობია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე სახელს (კიბიბი, ლიბი, რაბი, საგუბი, ქერობი...), რომელთა სეგმენტაცია და **-ბი** ელემენტის გამოყოფა, ბუნებრივია, სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია: **კიბიბი** (ძეგლები 1988: 520), **რაბი** (იქვე: 538).

-უყვ/-უყ/-ყვა უფრო ხშირია წერილობით ძეგლებში, ზღაპრებსა და ლეგენდა-გადმოცემებში, ვიდრე თანამედროვე სვანურ ანთროპონიმიაში: ამ ტიპის სახელებია: **ლუდარუყუ, ლეფსუყუ, მამსრუყუ, ხანთუყუ, მანთუყუ, თანდუყუ, შტოგვარი თანდუყარ, ნამსრუყუ, იელბერდუყუ, მალყარუყუ, ყაფსუყუ, გეყვა... ყაფსუყ** გომთელან, ევს ლგფაშვიდი **ყაფსუყელა** „ხევში ქებული ყაფსუყ გომთელიანი“ (პოეზია 1939: 160). ო.ე. საბრალო ჯარაშდუყი, ქავ ჯიშგვინძან ამდარხანი „ოი, საბრალო **ჯარაშდუყ**, რომ გეთხოვა ამდარხანი (იქვე). „სვანურში გვხვდება ჩერქეზული წარმომავლობის გვარებიც, რომლებიც **-ყვა, -ყა** (უდრის ქართ. „ძე, შვილი“) სუფიქსიანად აღიქმება, როგორც მთლიანი საკუთარი სახელი და დაირთავს შტო-გვარების მანარმოებელს: **გენჯაყვაშა შავაშლ** „გენჯაყვანთ შავაილი“ (ჩანტლაძე 1967: 297). ირკვევა ასევე, რომ გვარი პირველი სვანურ ანთროპონიმიაში შემოსულია ადიღეური (ჩერქეზული) ენიდან სპარსულ-არაბული წარმოშობის **ფირ-ველი** ანთროპონიმის სესხების გზით. თურქულ ენაში **ფირ-ველი** ნიშნავს „მოხუცი მართველი“, იგულისხმება ვილაიეთის ან სხვა ადმინისტრაციული დანაყოფის გამგებელი. თურქულიდან ადიღეურის მეშვეობით შემოღწეული ანთროპონიმი **ფირ-ველი** რიცხვით სახელთან **პირველი** გაიგივებულა და ამ შინაარსისავე სვანურ გვარად დამკვიდრებულა (ბელოშვილი 1997: 12). ამ დებულების სისწორეზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და დიდი სვანური გვარი პირველი არ გვხვდება X-XVIII საუკუნეების სვანეთის არც ერთ წერილობით ძეგლში. უცხოენოვან ანთროპოფორმანტთა გამოყენების კუთხით საინტერესოა წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი შემდეგი პარალელური ფორმები: **თათარ / თათარყან, თემურ / თემურყან, რაღიმ / რაღიმხან, სოფილ / სოფილხან, ბათგრ / ბათგრბი, მუსა / მუსაბი...**

ამრიგად, ანთროპონიმთა სესხება, შეთვისება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ხალხისა და ენისათვის. მირზა, ხან, ბეგ... წოდებათა და ტიტულთა საკუთარ სახელად ან მის კომპონენტად გამოყენება არის მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ანთროპონიმიკის ერთ-ერთი თავისებურება (ჯიქია 1973). ქართულ-მეგრულთან შედარებით სვანურში თურქულენოვან ანთროპონიმთა და ზოგადად, **-ხან, -ყან, -ბი...** ლექსემებით მარკირებულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელება ჩრდილო კავკასიის ენებთან – ადიღეურ-ყაბარდოულთან, ყარაჩაულთან და ბალყარულთან მეზობლობამ, უშუალო კონტაქტმა, სოციალ-ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის

კონტაქტებმა განაპირობა. ქრონოლოგიურად, როგორც ეს ვ. სილოგავას რედაქტორობით გამოცემულ X-XVIII საუკუნების სვანეთის წერილობითი ძეგლებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, სვანურში აღმოსავლური, კერძოდ, თურქული წარმომავლობის **-ხან, -ყან, -ბი, -მირზა / -მერზა...** ანთროპოფორმანტიანი საკუთარი სახელები არ გვხვდება ადრეული პერიოდის მოსახსენებლებში, სულთა მათიანებში, XVI საუკუნეზე ადრინდელ წერილობით ძეგლებში. ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული სიხშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქელიანთა გენიალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპონიმიში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XV ს.) დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. ბალსქვემო სვანეთის მეტატონეთა გვარის ერთ-ერთი ცნობილი პირები არიან მურზაყან, თათარყან, დიგორხან... დადემქელიანები. თანამედროვე სვანურ ონომასტიკონში კი უკვე იკვეთება ტენდენცია აღმოსავლური წარმომავლობის ანთროპონიმთა მკვეთრი შემცირებისა, შეიძლება ითქვას, გაქრობისაც კი წინა საუკუნეების მონაცემებთან შედარებით.

დამონშებული ლიტერატურა და წყაროები

- ბელოშვილი 1997:** ბელოშვილი გ., რიცხვითი სახელების შესახებ ქართულ ანთროპონიმიში. რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები. თბილისი, 1997.
- გაბლიანი 1925:** გაბლიანი ე., ძველი და დახალი სვანეთი. თბილისი, 1925.
- გასვიანი 1991:** გასვიანი გ., ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიდან. თბილისი, 1991.
- ინგოროყვა 1941:** ინგოროყვა პ., მათიანე სვანეთისა კრებისად. სვანეთის საისტორიო ძეგლები. თბილისი, 1941.
- კოკოვი 1973:** კოკოვი დ., ადილური (ჩერქეზული) ანთროპონიმის საკითხები. თბილისი, 1973.
- ნიჟარაძე 1962:** ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბილისი, 1962.
- პოფია 1939:** სვანური პოფია. თბილისი, 1939.
- ქრესტომათია 1978:** სვანური ენის ქრესტომათია. თბილისი, 1978.
- ჩანტლაძე 1967:** ჩანტლაძე ი., შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში. ჟურნალი „მაცნე“, თბილისი, 1967.
- ძეგლები 1986:** სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I. თბილისი, 1986.
- ძეგლები 1988:** სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II. თბილისი, 1988.
- ჭუმბურიძე 1992:** ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბილისი, 1992.
- ჯიქია 1973:** ჯიქია, მ. თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში. ჟურნალი აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III. თბილისი, 1973.